

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2018 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

ოქტომბერი, 2018 წელი

სარჩევი

მიმოხილვა 3

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 3

პორტფელის მართვა 6

სადაზღვევო შემთხვევა 6

მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალება 8

ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან 10

საკანონმდებლო ცვლილებები 11

მიმოხილვა

2018 წლის მესამე კვარტლის მთავარ საკითხს, მიმდინარე სამუშაოებთან ერთად, წარმოადგენს “აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველოს“ მიერ საქართველოს ბაზრის დატოვების გადაწყვეტილება, რის შედეგადაც დადგა პირველი სადაზღვევო შემთხვევა. მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების შედეგად, სადაზღვევო შემთხვევამ პრობლემების გარეშე ჩაიარა.

სააგენტო განაგრძობს კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიზს. საინვესტიციო პოლიტიკისა და გეგმის მიხედვით მიმდინარეობს საინვესტიციო საქმიანობა.

აქტიურად ვითარდება ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან. მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში, სააგენტოში მორიგი ვიზიტით იმყოფებოდა ექსპერტი, რომელმაც სააგენტოს გუნდთან ერთად იმუშავა მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ დავალებაზე. სააგენტოს თანამშრომლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დეპოზიტების დაზღვევის ფონდში.

შემუშავდა მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის დახვეწასა და შესაბამისი სატენდერო წინადადების მომზადებაზე.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2018 წლის ივლისის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 21 290 572 696 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 989 864 446 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 600 620 451 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 295 079 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის აგვისტოს შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 22 311 590 549 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 11 571 704 886 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 615 746 367 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 309 910 ლარით განისაზღვრა.

მიმდინარე წლის სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 22 676 454 337 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 11 815 465 104 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 633 042 796 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 310 971 ლარით განისაზღვრა.

2018 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვეურად 2.06%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 4.80%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირის დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.57%-ით, ხოლო მათ შორის დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა 1.16%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდის მაქსიმალური ტემპი აგვისტოს თვეში (5.29%), დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა კი მიმდინარე წლის კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და 2.19% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,28	19,30	19,75	20,01	20,13	20,42	21,29	22,31	22,68	
თვიური ცვლილება, %	-	0,10	2,33	1,32	0,60	1,44	4,26	4,80	1,65	2,06
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,45	10,45	10,31	10,59	10,70	10,84	10,99	11,57	11,82	
თვიური ცვლილება, %	-	0,04	-1,37	2,72	1,02	1,36	1,36	5,29	2,15	1,57
დაზღვეული დეპოზიტები	1,49	1,51	1,52	1,53	1,53	1,57	1,60	1,62	1,63	
თვიური ცვლილება, %	-	1,82	0,25	0,57	0,50	2,19	2,13	0,95	0,88	1,16

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მორდ ლარი

2018 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მესამე კვარტლის ბოლოს, მეორე კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 11.07%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 9.02%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 4%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

	მარ.18	ივნ.18	სექ.18
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	19,75	20,42	22,68
კვარტალური ცვლილება, %	-	3,39	11,07
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,31	10,84	11,82
კვარტალური ცვლილება, %	-	5,19	9,02
დაზღვეული დეპოზიტები	1,52	1,57	1,63
კვარტალური ცვლილება, %	-	3,29	4,00

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლნ ლარი

2018 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანები თვიურად საშუალოდ 1.23%-ით იზრდებოდა (ცხრილი #3). მაქსიმალური ზრდა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დაფიქსირდა და ივლისის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 3.46%-ით მოიმატა. მესამე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა 5.95%-ით აღემატება მეორე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს (ცხრილი #4).

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	ივლ.18	აგვ.18	სექ.18	სამ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,19	1,21	1,21	1,22	1,23	1,25	1,30	1,31	1,31	
თვიური ცვლილება, %	-	1,55	0,55	0,53	0,56	2,01	3,46	1,15	0,08	1,23

ცხრილი 3. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.18	ივნ.18	სექ.18
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	3,61	3,70	3,92
კვარტალური ცვლილება, %	-	2,49	5,95

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

2018 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96.5% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 13.82%. დაზღვეული დეპოზიტების 61% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 39% უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2018 წლის მესამე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 3 915 960 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2018 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე რვა განაცხადი გააკეთა, აქედან ოთხი განაცხადი დაკმაყოფილდა.

2018 წლის 8 აგვისტოს ჩატარებულ აუქციონზე განხორციელდა 1 445 112.09 ლარის მოცულობის ინვესტიცია 1 430 000 ნომინალური ღირებულების 7,220%-იანი შემოსავლიანობის 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში. აღნიშნული ობლიგაციის კუპონის განაკვეთი 7,500%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2020 წლის 12 ივლისია. 22 აგვისტოს, 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე, სააგენტომ სამი განაცხადი გააკეთა, რომელთა შორის 20,000 ნომინალური ღირებულების უკონკურენტო განაცხადი დაკმაყოფილდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდის შესაძენად 20 606.46 ლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, რომლის სარგებლის განაკვეთი 7.477 პროცენტია, დაფარვის თარიღი 2023 წლის 25 იანვარია.

2018 წლის 12 სექტემბერს სააგენტომ შეისყიდა 20 000 და 600 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი შესაბამისად 7,232 და 7,220%-ია, რისთვისაც 20 344.10 და 610 444.82 ლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა. კუპონის განაკვეთი 7,500%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2020 წლის 12 ივლისია.

სადაზღვევო შემთხვევა

„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის“ აქციონერთა გადაწყვეტილებით, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველომ“ დატოვა საქართველოს ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს ჰქონდა ვალდებულებების 100%-იანი გასტუმრების შესაძლებლობა, კანონის შესაბამისად, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე დადგა სადაზღვევო შემთხვევა.

ბანკის მიერ ბაზრის დატოვების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, სააგენტოში დაიწყო სადაზღვევო შემთხვევისთვის მოსამზადებელი ინტენსიური სამუშაოები საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით. რამდენადაც ანაზღაურების

პროცედურის დეტალური ინსტრუქცია და მართვის საინფორმაციო სისტემა (რომელმაც სადაზღვევო შემთხვევის ელექტრონული მართვა უნდა უზრუნველყოს), შემუშავების პროცესშია, აღნიშნული შემთხვევისთვის ჩამოყალიბდა განსახორციელებელი სამუშაოების ზუსტი, დროში განსაზღვრული გეგმა და პროცედურები.

აღნიშნულმა მიდგომამ უზრუნველყო პირველი სადაზღვევო შემთხვევის გამართული ორგანიზება. ბანკის ლიკვიდაციის პროცესი 2018 წლის 25 ივლისს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის №465 განკარგულებით დაიწყო. კანონით განსაზღვრული ყველა პროცედურა განხორციელდა შესაბამის ვადებში.

შემთხვევის დადგომიდან მეორე დღესვე, საგანგებოდ შემუშავებული ფორმის შესაბამისად (რომელიც მოიცავდა დეპოზიტორის ვინაობის, საიდენტიფიკაციო მონაცემების, მის სახელზე არსებული დეპოზიტების სრული ჩამონათვალის ველებს), ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულმა ლიკვიდატორმა მიაწოდა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს.

ლიკვიდატორისგან მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, სააგენტომ დააჯამა თითოეული დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი თანხები და შესაბამისი რეესტრი მიაწოდა ანაზღაურების განმახორციელებელ აგენტ ბანკს. თანხების გაცემა დაიწყო შემთხვევის დადგომიდან მეხუთე დღეს (30.07.2018).

სააგენტომ ჩაატარა დაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანია. სააგენტოს ვებ-გვერდს დაემატა საგანგებო ფუნქცია, რომლის საშუალებითაც, შემთხვევის დადგომიდან 20 დღის განმავლობაში, სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ჩანდა სპეციალური ფორმატით (ე.წ. pop-up window); ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოს ფეისბუქის გვერდის და ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის საშუალებით; განცხადება გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე ქვეყნის მასშტაბით გავრცელებად სამ საგაზეთო გამოცემაში („კვირის პალიტრა“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“).

დეპოზიტორებზე კომპენსაციის გაცემას, სააგენტოს სახელით, ახორციელებს სს „ლიბერთი ბანკი“ (ე.წ. აგენტი ბანკი) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. დეპოზიტორებს ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა აქვთ სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში ქვეყნის მასშტაბით. ანაზღაურების პროცესის დაწყების შემდეგ, სააგენტოს თანამშრომლები პერიოდულად, ადგილზე მისვლით ამოწმებდნენ პროცესის გამართულობას. ასევე, ესწრებოდნენ პირველი დეპოზიტორის ანაზღაურება დედოფლისწყაროში. პროცესი მიმდინარეობს ხარვეზების გარეშე. მომსახურებით უკვე

ისარგებლეს ქვეყნის მასშტაბით შემდეგ ქალაქებში: რუსთავი, დედოფლისწყარო, თბილისი და კასპი.

ასანაზღაურებელი თანხის ჯამური მოცულობა შეადგენდა **10 198,91 ლარს**. სულ ასანაზღაურებელია 34 დეპოზიტორი, მათგან საქართველოს 9 მოქალაქე.

მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალება

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად სააგენტო ვალდებულია „ანაზღაურების ოპერატიულად გაცემის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მართვის საინფორმაციო სისტემა და პროცედურები და არანაკლებ წელიწადში ერთხელ განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიმულაცია. კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის და შესაბამისი ინსტრუქციის შემუშავებაზე.

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ძირითადი პროცესების ავტომატიზაცია და სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სპეციალური კომპიუტერული სისტემით ოპერირება წარმოადგენს სისტემის ფუნქციონირების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას და რეკომენდირებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

მართვის საინფორმაციო სისტემის არსებობას აქვს შემდეგი უპირატესობები:

- პროცესები სრულად ავტომატიზებულია - შესაბამისად მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური შეცდომის ფაქტორი და საოპერაციო რისკი;
- იზოგება დიდი დროითი რესურსი - რამდენადაც ხდება ამოცანების მყისიერი შესრულება. კანონის ამჟამინდელი ჩანაწერით, ასანაზღაურებელი თანხების გამოთვლისა და კომპენსაციების გაცემისთვის სააგენტოს 20 კალენდარული დღე აქვს. აღნიშნული ვადა, ევროდირექტივის შესაბამისად, 7 დღემდე უნდა შემცირდეს. დასახული ამოცანის ასეთ ვადაში შესრულება პროცესის ავტომატიზაციის გარეშე არარეალურია და ამასთან, ნებისმიერ სხვა ფორმატში მონაცემების დამუშავებას ყოველთვის თან ახლავს შეცდომების მაღალი რისკი;
- სისტემა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას სასურველი კრიტერიუმების (თანხების მოცულობა, მოქალაქეობა, ვალუტა და ა.შ.) მიხედვით;

- სისტემით მოხდება სააგენტოსა და (ანაზღაურების პროცესის განმახორციელებელ) აგენტ ბანკს შორის ურთიერთობა და ანაზღაურებული დეპოზიტების რეესტრის წარმოება, რაც სააგენტოს მისცემს პროცესის ყოველდღიური მონიტორინგის შესაძლებლობას.

პროგრამას ექნება 2 ძირითადი მოდული - ყოველთვიური ანგარიშგების და ანაზღაურების.

ყოველთვიური ანგარიშგების მოდული უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი მონაცემების შენახვას, აგრეგირებას, ანალიტიკას და დახარისხებას ნებისმიერი სასურველი პარამეტრით.

რაც შეეხება ანაზღაურების მოდულს, ის გაცილებით ფართომასშტაბიანი ფუნქციებით იქნება დატვირთული. სწორედ აღნიშნულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან ყველა საჭირო პროცესის მართვა, მათ შორის ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკისგან საჭირო ინფორმაციის მიღება, მისი ანალიზი და ინდივიდუალური დეპოზიტორების სიის შედგენა შესაბამისი ასანაზღაურებელი თანხების მითითებით. სადაზღვევო შემთხვევის მოდულში იქნება ასევე „აგენტი ბანკის“ ფუნქცია, რომლის საშუალებითაც სააგენტო ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის შერჩეულ ბანკს მიაწვდის მონაცემთა რეესტრს და მიმდინარე რეჟიმში დაინახავს ანაზღაურების პროცესს.

ამ დროისთვის უკვე შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის აღწერის ტექნიკური დავალების დოკუმენტის პირველი ვერსია. დოკუმენტი განიხილა მსოფლიო ბანკის ტექნიკური მისიის ექსპერტმა. გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს პროგრამის აღწერილობის დახვეწა. პარალელულად, მუშავდება სატენდერო წინადადება. ტენდერის გზით შერჩეული კომპანია უზრუნველყოფს როგორც პროგრამის შექმნას, ისე ტექნიკურ მხარდაჭერას.

მართვის საინფორმაციო სისტემის ანაზღაურების ნაწილი, კანონის შესაბამისად, ყოველწლიურად გაივლის სადაზღვევო შემთხვევის სიმულაციურ ტესტს.

მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციაზე. აღნიშნულ ინსტრუქციაში დეტალურად იქნება გაწერილი სადაზღვევო შემთხვევის დროს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი საქმიანობები და ასევე მართვის საინფორმაციო სისტემის მუშაობა.

ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში სააგენტოში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა მისიის ექსპერტი. სააგენტოს გუნდთან ერთად, ექსპერტმა იმუშავა შემდეგ საკითხებზე: 1) მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების დოკუმენტი; 2) საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი; 3) კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების წესი და 4) ანაზღაურების კონცეფცია. ექსპერტმა ასევე წარმოადგინა თავისი მოსაზრება „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის შინაარსთან დაკავშირებით.

ძირითადი სამუშაო პროცესი წარიმართა მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დოკუმენტის გარშემო. ექსპერტმა, საერთო ჯამში, დადებითად შეაფასა სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა, თუმცა წარმოადგინა რიგი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამას ფუნქციონალურად უფრო დატვირთულს და ამავე დროს ტექნიკურად გამართულს გახდის. მათი უმეტესობა გათვალისწინებულია სააგენტოს მხრიდან და მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის შესაბამის დახვეწაზე.

სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტის რეკომენდაციები ტექნიკური ხასიათის იყო და მოხდა მათი ასახვა შესაბამის ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებში.

გამოცდილების გაზიარების და ამ გზით სააგენტოს სამუშაო პოტენციალის გაძლიერების მიზნით, 2018 წლის სექტემბერში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ე. ბაქოში, აზერბაიჯანში, სადაც შეხვედრები გამართეს აზერბაიჯანის დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანის დეპოზიტების დაზღვევის ფონდი 2007 წლიდან არსებობს და ამ დრომდე 11 სადაზღვევო შემთხვევა უკვე დადგა, მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს, რაც აისახა ვიზიტის შედეგების შემაჯამებელ ანგარიშში.

საკანონმდებლო ცვლილებები

სააგენტომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- 1) კანონპროექტით დაზუსტდა დეპოზიტის განმარტება და ყოველგვარი ინტერპრეტაციის გამოსარიცხად, არსებულ განმარტებას დაემატა მიმდინარე ანგარიში;
- 2) კანონმდებლობის მიხედვით კომერციული ბანკის გადახდისუნარობა და ლიკვიდაცია ამომწურავად მოიცავს სადაზღვევო შემთხვევას, შესაბამისად კანონის შესაბამისი პუნქტებიდან, რომელიც განსაზღვრავს და ეხება სადაზღვევო შემთხვევას, ამოღებულია სიტყვა გაკოტრება;
- 3) კანონპროექტით დაკონკრეტდა, რომ სააგენტოს ხაზინის გარდა შეუძლია ანგარიში ჰქონდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში;
- 4) სისტემის ფუნქციონირების განმავლობაში მიღებული გამოცდილების და სადაზღვევო შემთხვევის ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია სააგენტოს ჰქონდეს არა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმების უფლება, არამედ, თავად განსაზღვროს გადამოწმების საჭიროება. შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრა, რომ სააგენტოს უფლება აქვს კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ან/და გადაამოწმოს ადგილზე;
- 5) კანონპროექტით დაკონკრეტდა, რომ ანაზღაურების გაცემის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის აგენტი ბანკისთვის გადახდილი მომსახურების საკომისიო, უნდა დაფინანსდეს დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან;
- 6) კომერციული ბანკი რეგულარულ სადაზღვევო შენატანს იხდის ეროვნული ვალუტით, დაანგარიშების და არა გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ინსტრუქციის შესაბამისად.
- 7) საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით დეპოზიტორთა ანაზღაურებას სააგენტო ახორციელებს კომერციული ბანკის მეშვეობით (აგენტი ბანკი), შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრა, რომ სააგენტოს აქვს შესაბამის (აგენტი) კომერციულ ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება. ბანკის შერჩევის პროცედურები წესრიგდება ინსტრუქციით;
- 8) დაკონკრეტდა ეროვნული ბანკის ლიკვიდატორის ვალდებულება სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია გამოგზავნის დღეს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, ვინაიდან სადაზღვევო შემთხვევიდან 5 დღის განმავლობაში

(ლიკვიდატორისთვის კანონით განსაზღვრული ვადა სააგენტოსთვის ინფორმაციის მისაწოდებლად) შესაძლოა მოხდეს თავდაპირველი ინფორმაციის ცვლილება სხვადასხვა მიზეზების გამო;

- 9) საერთაშორისო დონორების რეკომენდაციების და სააგენტოს მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო შენატანის მოდელზე გადასვლა ამ ეტაპზე ნაადრევია, შესაბამისად აღნიშნული სისტემის ამოქმედება გადავადდება 3 წლით - 2023 წლამდე.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების მიზანს წარმოადგენს პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება. შედეგად გაუმჯობესდება დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებული პროცესების რეგულირება და გაიზრდება როგორც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის, ისე სააგენტოს მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი.